ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 1736478

გაცემის თარიღი: 17/02/2015 გაცნობის თარიღი: 17/02/2015

განცხადების ნომერი: AR1285615

შემოსვლის თარიღი: 11/02/2015

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.72.14.034.026
- მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1800.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "იონფაშ ჯორჯია" (200271721)

- საკადასტრო კოდი: 01.72.14.034.026
- მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1800.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "იონფაშ ჯორჯია" (200271721)

ნომენკლატურა :

- **სამართლებრივი საკითხები**
- **ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- თამარ ხელაშვილი პ/ნ 01017005377
- მისამართი: თბილისი შ.რუსთაველის გამზ. N 28/2

ბრძანება

ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 10 ივნისის N01/693 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 11 თებერვლის NAR1285615 განცხადებით მომართა თამარ ხელაშვილმა და მოითხოვა ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 10 ივნისის N01/693 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 10 ივნისის N01/693 ბრძანებით, ქ.თბილისში, თ.ერგემლიძის საკუთრებაში არსებულ N026 მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა კომერციული შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

მიღებული ბრძანების გადამოწმების შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ გადაწყვეტილების ტექსტში არასწორადაა დაფიქსირებული მიწის ნაკვეთის ფართობი. კერძოდ, 1800 კვ.მ–ს ნაცვლად, მითითებულია 1804 კვ.მ.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (საკადასტრო კოდი: 01.72.14.034.026; მომზადების თარიღი: 13/02/08; რეგისტრაციის N 882008033496) თანახმად, ბრძანების გაცემის მომენტისათვის, მიწის ნაკვეთის ფართობს წარმოადგენდა 1800 კვ.მ.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 10 ივნისის N01/693 ბრძანების ტექსტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის, ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის N194 განკარგულების თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 10 ივნისის N01/693 ბრძანების ტექსტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 1800 კვ.მ.

2.აღნიშნული ბრძანება განხილული იქნას ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 10 ივნისის N01/693 ბრძანებასთან ერთად;

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.